საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკა და ბათუმის მეჩეთის („ორთა ჯამე“) რეგისტრაციის საკითხი 1940-იან წლებში

ნანი გელოვანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: nani.gelovani@tsu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0002-7046-1254

აბსტრაქტი: სამამულო ომმა (1941-1945), საშინაო და საგარეო პოლიტიკური მიზეზების (მაგ., რელიგიური საკითხის გამოყენების აუცილებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში) ერთობლიობამ აიძულა საბჭოთა ხელისუფლება გადასულიყო დიალოგზე სხვადასხვა კონფესიებთან მიმართებაში, პირველ რიგში, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. აუცილებელი გახდა ისეთი ორგანოს ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც ქვეყნის ხელმძღვანელობას შეეძლო რელიგიური პოლიტიკის განხორციელება.

1943 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან ჩამოყალიბდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო (1943-1965), რომელიც ორიენტირებული იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხებზე, მაგრამ განიხილავდა არამართლმადიდებელი რელიგიური ორგანიზაციების საკითხებსაც. თუმცა, გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად, შეიქმნა კიდევ ერთი სპეციალური სახელმწიფო ორგანო არამართლმადიდებლურ ორგანიზაციებთან სამუშაოდ. 1944 წლის 19 მაისის №572 განკარგულებით სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან ჩამოყალიბებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს ექვემდებარებოდა სომხურ-გრიგორიანული, სტაროობრიადული, ბერძნულ-კათოლიკური, კათოლიკური და ლუთერანული ეკლესიები, მუსლიმთა, ებრაელებისა და ბუდისტების რელიგიური გაერთიანებები და სექტანტთა ორგანიზაციები (იგულისხმებოდნენ ადვენტისტები, ბაპტისტები და სსრ კავშირში ოფიციალურად დაშვებული სხვა ქრისტიანული სექტები).

რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს ცენტრალური აპარატის რელიგიური პოლიტიკის სფეროში საქმიანობის პირველი შედეგი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 19 ნოემბრის №1603 დადგენილება „რელიგიური კულტების სამლოცველო ნაგებობის გახსნის პროცედურის შესახებ“. დადგენილებას შედეგად მოჰყვა სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკის მუსლიმებისა და მუსლიმური ორგანიზაციების მხრიდან განცხადებების წარდგენა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოში 1930-იან წლებში დახურული მეჩეთების გახსნის მოთხოვნით.

ნაშრომში აჭარის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში, საქართველოს ეროვნულ არქივსა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე განხილული და გაანალიზებულია ქ. ბათუმის მეჩეთის – „ორთა ჯამე“-ს გახსნასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ისლამი, მუსლიმები, მეჩეთი, ორთა ჯამე, ბათუმი.

* * *

შესავალი. ბათუმის ცენტრალური მეჩეთი – „ორთა ჯამე“, მუსლიმური საკულტო ნაგებობა, აშენდა 1866 წელს, აჰმედიეს მეჩეთის ადგილას. მას ორთა ჯამე („შუა ჯამე“) ეწოდა, რადგან იგი ორ მეჩეთს „აზიზიესა“ და „მუფთიეს“ შორის იყო განთავსებული. XX საუკუნეში დაწყებულ რთულ პოლიტიკურ პროცესებში, ბათუმის მეჩეთს – „ორთა ჯამე“-ს განსაკუთრებული ადგილი ეკავა.

1930-იან წლებში საბჭოთა სახელმწიფომ დაიწყო სასულიერო პირების დევნისა და რელიგიური გაერთიანებებისგან მეჩეთებისა და სხვა ქონების ჩამორთმევის პროცესი, მეჩეთები გადაკეთდა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებად და ა. შ. ამ პერიოდში ქ. ბათუმში იყო მხოლოდ ერთი მეჩეთი – „ორთა ჯამე“. არის ცნობა, რომ 1935-1946 წლებში მეჩეთი დაკეტილი იყო და სამხედრო მიზნებით გამოიყენებოდა (ბარამიძე, რუმიანცევი, 2009: 201; Френкель, 1879/2015: 62). თუმცა, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელშიც 1939 წელს მოხსენიებულია ქ. ბათუმში ჩკალოვის ქუჩა №6-ში მდებარე მეჩეთი, რომელსაც ხელმძღვანელობდა „ბნელი ელემენტი“, ხოჯა ისმაილ ეფენდი მიქელაძე. მან წინასწარ დაიწყო სამზადისი ბაირამობის ჩატარებისათვის, რაზედაც შეაგროვა სოფლებში 3 000 მანეთი და „მრევლს წინადადება მისცა 12 ნოემბერს (ურაზა-ბაირამი – ნ. გ.) გამოცხადებულიყო მეჩეთში, რომლებმაც დააკმაყოფილეს ხოჯას თხოვნა“ (სუიცა, ფონდი 1547, საქმე 126, ფურც. 15).

1944 წლის 25-28 მაისს, ამიერკავკასიის მუსლიმთა ყრილობაზე, ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველო (1944-1991), რომელსაც დაექვემდებარა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუსლიმური ორგანიზაციები, მათ შორის ქ. ბათუმის მეჩეთი „ორთა ჯამე“.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს 1944 წლის 19 ნოემბრის №1603 დადგენილების – „რელიგიური კულტების სამლოცველო ნაგებობის გახსნის პროცედურის შესახებ“ თანახმად, განცხადებაზე მეჩეთის გახსნის შესახებ ხელი უნდა მოეწერა არანაკლებ 20 სრულწლოვან მოქალაქეს ადგილობრივი მცხოვრებლებიდან, რომელთაც არ ჰქონდათ შეწყვეტილი სასამართლოს მიერ საარჩევნო უფლება. ამავე დადგენილებით, რელიგიურ ცენტრებს ან მათ წარმომადგენლებს შეეძლოთ მხარი დაეჭირათ ან უარი ეთქვათ მოქალაქეთა განცხადებაზე სამლოცველო სახლების გახსნის თაობაზე. განცხადების მიღების შემდეგ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებული მიმართავდა შესაბამის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი კითხვებით: მოცემული რელიგიური კულტის სრულწლოვან მორწმუნეთა საშუალო რაოდენობა დასახლებულ პუნქტში; როგორ მდგომარეობაში იყო შენობა-ნაგებობა, რომელიც განკუთვნილი იყო სამლოცველო შეკრებებისათვის; როგორი იყო აღმასკომის თავმჯდომარის აზრი სამლოცველო სახლის შესაძლო გახსნის თაობაზე. ამ გარემოებათა დადგენის შემდეგ რწმუნებული თავის დასკვნას ან გადაწყვეტილებას აგზავნიდა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს ცენტრალურ აპარატში.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება „პრობლემებზე დაფუძნებული ისტორიოგრაფიის“ პრინციპებს, რომლის ერთ-ერთი მიზანია საკვლევი საკითხების ერთობლიობის იდენტიფიცირება, რომლებიც აისახება და ვითარდება სამეცნიერო კვლევის შემდგომ ეტაპებზე. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე ისტორიზმის, დიალექტიკის, სინთეზისა და ანალიზის, პრობლემურ-ქრონოლოგიური, მეცნიერული ობიექტურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპები, რაც დაგვეხმარა დოკუმენტური წყაროებისა და ისტორიული ფაქტების შესწავლაში, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაში.

მსჯელობა. საარქივო დოკუმენტებით ცნობილია, რომ 1945 წელს ქ. ბათუმისა და მის მახლობლად მცხოვრებმა მუსლიმთა საზოგადოებამ განაცხადი მეჩეთის რეგისტრაციის თაობაზე წარადგი-

ნა სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს აჭარის ასსრ-ში რწმუნებულთან, მაგრამ მორწმუნეთა ეს მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

საბჭოს რწმუნებული აჭარაში, მუჰამმად ვანილიში (საარქივო დოკუმენტებით – ვანლიში), საქართველოში რწმუნებულის – დ. ქურიძისადმი გაგზავნილ 1945 წლის მე-2 კვარტლის ანგარიშში წერს: „ა/წ. აპრილის თვის შუა რიცხვებში კ. პ. (ბ) ბათომის რაიკომის მეორე მდივნის ამხ. აბესაძის მიერ გამოძახებულ იქნენ მორწმუნე მუსლიმანები და დაემუქრა დაპატიმრებით თუ ისინი უკან არ წაიღებდნენ განცხადებას, სადაც მორწმუნე მუსლიმანები ხელს აწერდნენ მეჩეთის გახსნის შესახებ“ (აცსა, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 3, ფურც. 16ა).

1945 წლის 15 ივლისს, რწმუნებულმა დ. ქურიძემ სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პოლიანსკისადმი გაგზავნილ საინფორმაციო ანგარიშში (№ 104/c) დეტალურად აღწერა ბათუმის მეჩეთის გახსნასთან დაკავშირებული პრობლემები:

„ქალაქ ბათუმში მეჩეთის გახსნის საკითხზე მე მივწერე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ამხანაგ ვ. მ. ბაქრაძეს, რომ საბჭოს, როგორც №502 წერილშია აღნიშნული, და მე პირადად მიზანშეწონილად მიმაჩნია მორწმუნეთა შუამდგომლობის დაკმაყოფილება, მაგრამ მივიღე კატეგორიული უარი.

და მართლაც, წარსულიდან ვიცით, რა დაგვიჯდა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუსლიმ სასულიერო წოდებასთან ბრძოლა ჩადრის მოხსნასა და მედრესეს დახურვასთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა, წარსულის აღდგენა ნებისმიერი ხარისხით და წარსულის გამეორება აბსოლუტურად არასასურველია, თუმცა, ამ დროს ჩნდება კითხვა, საფრთხეს წარმოადგენს თუ არა ჩვენთვის ერთი-ორი მეჩეთის გახსნა, მიმაჩნია, რომ არა. თორემ ისინი არ გაიხსნებოდა სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ...

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა შემატყობინა, რომ მორწმუნეების საჩივარი მიიღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ბათუმის რაიონული კომიტეტის მდივნის, ამხანაგ აბესაძის წინააღმდეგ. ის მორწმუნეებს დაემუქრა დაპატიმრებით, თუ ისინი უკან არ გაიტანდნენ განცხადებას მეჩეთის გახსნის შესახებ.

ბათუმში მეჩეთის გახსნის საკითხი თქვენი ჩარევის გარეშე, ვფიქრობ, დადებითად ვერ გადაწყდება...“ (ГАРФ, ф. Р-6991, оп.3, д. 29, л. 59-60, 62).

საქართველოს კომპარტიის (ბ) ბათუმის რაიონული კომიტეტის მდივნის, ამხანაგ აბესაძის ქმედებას (მორწმუნეთა დამუქრება დაპატიმრებით) იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ 1945 წლის ივლისში რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარემ, ი. ვ. პოლიანსკიმ, საბჭოს საკავშირო თათბირზე ქ. მოსკოვში, ყურადღება გაამახვილა ცალკეული ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული მუშაკების არასწორ და „ზოგჯერ პირდაპირ პროვოკაციულ ქმედებაზე“ და ასეთი ქმედების ერთ-ერთ მაგალითად დაასახელა აბესაძე (ГАРФ, ф. Р-6991, оп.3, д.12, л. 21-22).

ბათუმის მეჩეთი, როგორც ირკვევა, გაიხსნა 1946 წლის იანვრის ბოლოს, შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე. 1946 წლის 8 თებერვალს ი. ვ. პოლიანსკისადმი გაგზავნილ წერილში აჭარის ასსრ-ში რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებული მ. ვანილიში მეჩეთის რეგისტრაციის შეფერხების მიზეზად ასახელებდა მორწმუნეთა შიშს შუამდგომლობაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით, რადგან ადგილი ჰქონდა ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელის მიერ მუქარებს რელიგიური რიტუალების შესრულებისა და მეჩეთის გახსნის მოთხოვნის წინააღმდეგ. რწმუნებული მ. ვანილიში წერს: „აჭარის ასსრ საბჭოს რწმუნებული გატყობინებთ, რომ პოლიტიკური მოსაზრებით (სათანადო გაფორმებამდე) ქ. ბათუმში 1946 წლის იანვრის ბოლოს გავხსენით ერთი მეჩეთი. ახლა გაფორმება

ფერხდება, რადგანაც მორწმუნეებს ეშინიათ შუამდგომლობაზე ხელმოწერა. მე მივიღე ზომები, რათა დავაჩქარო გახსნილი მეჩეთის რეგისტრაცია“ (ГАРФ, ф. Р-6991, оп.3, д.339,1946-02-8, л. 29).

სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის – ი. ვ. პოლიანსკისადმი გაგზავნილ 1946 წლის პირველი კვარტლის საინფორმაციო ანგარიშში საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ-ში დ. ა. ქურიძე ვრცლად მიმოიხილავს მეჩეთის წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, დაჩქარებული წესით გახსნის გარემოებებს, რომელთა შორის ასახელებს 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების – სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სტატიას – „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. დავით ქურიძე წერს:

„საანგარიშო პერიოდში აჭარის ასსრ ქ. ბათუმში, წინასწარი რეგისტრაციისა და საბჭოს მიერ დამტკიცების გარეშე, გაიხსნა მუსლიმთა სამლოცველო ნაგებობა (მეჩეთი), ე. ი. დაირღვა სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 19 ნოემბრის №1603 დადგენილება. წინამდებარე გარემოებები შემდეგია: 1945 წლის ბოლოს (ნოემბერი-დეკემბერი) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა რესპუბლიკურ პრესაში ისაუბრეს თურქეთის მიერ მიტაცებული ისტორიული მიწების საქართველოსთვის დაბრუნების მოთხოვნით. ამ საკითხზე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა მუსლიმი სასულიერო წოდების, მათ შორის აჭარის ყადის, რომელიც ასევე არის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრი, რასიხ სულეიმანის ძე ბერიძის გამოსვლას. თუმცა, ამ დროისთვის მთელ აჭარაში ყადიებს არ ჰქონდათ არცერთი მოქმედი სამლოცველო სახლი (მეჩეთები ან მედრესეები) და ამიტომ პარტიის საოლქო კომიტეტმა შესთავაზა ჩვენს რწმუნებულს, სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით, სასწრაფოდ აღესრულებინა მორწმუნეთა არსებული შუამდგომლობა ბათუმში მეჩეთის გახსნის შესახებ (შუამდგომლობა მანამდე დიდი ხნით ადრე მიიღეს, მაგრამ ასსრ სახალხო კომისართა საბჭომ უარი თქვა მის განხორციელებაზე). მეჩეთის გახსნიდან მალევე (შეიძლება ითქვას იმავდროულად) ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა ბერიძის ძალიან შინაარსიანი, ინფორმაციული და პატრიოტული წერილი. სწორედ ამ გარემოებებმა გამოიწვია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს №1603 დადგენილების უნებლიე დარღვევა.

ამჟამად მე მივიღე მასალები ზემოაღნიშნული მეჩეთის გახსნისთვის, მაგრამ ისინი დაუბრუნდა ამხანაგ ვანილიშს საბოლოო გაფორმებისათვის“ (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 339, 1946-04-13, л. 8, 15-16).

1946 წლის 27 მარტს მ. ვანილიში წერილს (№5с - 27/III-46) უგზავნის რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოში – დ. ქურიძეს:

„... პირველ კვარტალში შემოვიდა განცხადება ქ. ბათუმისა და მის მახლობლად მცხოვრებ მორწმუნე მუსულმანებისაგან, ქ. ბათუმში მეჩეთის გახსნის შესახებ. პოლიტიკურ მოსაზრებათა ხელმძღვანელი ორგანოების სანქციით ბათუმში მეჩეთის გახსნა ჩემს მიერ ნებადართული იქნა გაფორმებამდე, რის შემდეგაც მორწმუნეებს დავავალე შემოეტანათ განცხადება 20 კაცის ხელმოწერით, ვინაიდან მუსულმან-მორწმუნეებში არსებობს შიში (რადგან ადგილი აქვს ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელის მიერ მუქარებს რელიგიური ჩვევების შესრულებისა და მეჩეთის მოთხოვნის წინააღმდეგ) განცხადებაზე ხელს აწერენ, ხოლო უკანასკნელად ხელწერილები გააფორმეს (თუმცა ორმა კაცმა ისევ მოითხოვა, რათა გაგვეუქმებია მათი ხელწერები). ჩემს მიერ ა/წლის 20 მარტისათვის მზად იყო ყველაფერი, მაგრამ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის შორეული მივლინებაში ყოფნის გამო ჩემს წარდგენაზე მოადგილემ დასკვნას ხელი არ მოაწერა, რის გამოც ბათუმის მეჩეთის გახსნას საანგარიშო პერიოდში ვერ ვაფორმებთ“ (აცსა, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 6, ფურც. 5; რელიგიური თემები და ორგანიზაციები, 2013: 89-90).

საარქივო დოკუმენტების თანახმად, აჭარის რწმუნებულმა შესაბამის განკარგულებას მეჩეთის გახსნის თაობაზე ხელი მოაწერა 1946 წლის 19 მარტს (აცსა, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 6, ფურც. 16).

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტის მიხედვით, 1946 წლის 31 მარტს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ გამოსცა განკარგულება ("Заключение об открытии мечети в гор. Батуми Аджарской АССР") ბათუმის მეჩეთის გახსნის თაობაზე:

„აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა ქ. ბათუმის მორწმუნე მუსლიმთა განცხადება მეჩეთის გახსნის თაობაზე და აჭარის ასს რესპუბლიკაში სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის ამხ. მ. ა. ვანილიშის დასკვნები და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 19 ნოემბრის (№1603) დადგენილების – სამლოცველო ნაგებობების გახსნის წესის შესახებ – შესაბამისად გამოიტანა შემდეგი დასკვნა: 1. იმის გათვალისწინებით, რომ ქ. ბათუმსა და მის შემოგარენში მორწმუნეთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა და არ არის მოქმედი მეჩეთი, შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მორწმუნეთა ჯგუფის შუამდგომლობა მეჩეთის გახსნის თაობაზე. 2. მეჩეთის ყოფილი შენობა თავისუფალია. 3. ეს დასკვნა მასალებითურთ გაეგზავნოს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში“ (აცსა, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 6, ფურც. 15).

1946 წლის 14 ივნისს ბათუმის მეჩეთის გახსნის საკითხი განიხილეს მოსკოვში, სსრკ რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს სხდომაზე, სადაც სიტყვით გამოვიდნენ რწმუნებული აჭარის ასსრ-ში მ. ვანილიში და რწმუნებული საქართველოს სსრ-ში, დ. ა. ქურიძე. მ. ვანილიშმა საჯაროდ განაცხადა, რომ მეჩეთის გახსნას ხელს უშლიან ადგილობრივი ორგანოები – საოლქო კომიტეტი და მინისტრთა საბჭო, სახელდობრ, საოლქო კომიტეტის მდივანი და საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე – ვალერი ბაქრაძე (1946 წლის 15 აპრილიდან 1946 წლის დეკემბრის ჩათვლით). მ. ვანილიშმა ასევე ხაზი გაუსვა შემდეგ ფაქტებს:

„მე მაქვს ძალიან ბუნდოვანი კითხვა, რომელიც საბჭოს ჯერ არ განუმარტავს ჩემთვის. არსებობს სხვადასხვა ახსნა-განმარტებები მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და მითითებებზე, მაგრამ მე არ დამაკმაყოფილა. აჭარის რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობა მუსლიმია. ადრე, რევოლუციამდე, იყო 138 მეჩეთი და 36 მედრესე, ახლა კი, საბჭოს ინსტრუქციებით, როცა ბევრი მორწმუნეა, ქალების უმეტესობაც კი თავდახურულია, არ ეჩვენებიან ხალხს და არალეგალურად ასრულებენ ყოველგვარ რიტუალს, მათ რამდენჯერმე იშუამდგომლეს, მაგრამ იძულებული ვიყავი უარი მეთქვა, რადგანაც ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ეს დაუშვებელი იყო. წელს, როდესაც მეცნიერებმა დააყენეს საკითხი თურქი დამპყრობლების მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის შესახებ, ჩვენმა ყადიმ, მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრმა, როგორც ქართველმა მეცნიერმა, წერილი დაწერა გაზეთში საქართველოს ტერიტორიის დაბრუნების შესახებ. მაშინ მან დაწერა, რომ არის მეჩეთები და ა.შ. ხელმძღვანელებს მე ვეუბნები – ყადი წერს, რომ მეჩეთებია, საზღვარზე ვართ, მტერმა შეიძლება გაიგოს, რომ რეალურად არც ერთი მეჩეთი არ არის, მათ გახსნაზე მაინც უარი თქვეს და ერთი თვის შემდეგ პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა მიმიწვია მეჩეთის გასახსნელად. მე ვუპასუხე, რომ ჯერ არ შემეძლო გახსნა, რადგანაც არის აუცილებელი ინსტანცია, რომლის გავლაც საჭიროა. მან თქვა, არანაირი ინსტანცია, ის უნდა გაიხსნას და მე იძულებული გავხდი მეჩეთი გამეხსნა და ამის შესახებ შევატყობინე საბჭოს. საბჭომ მიპასუხა, რომ ეს არასწორი იყო, შეუძლებელი იყო გახსნა მანამ, სანამ საბჭო არ გასცემდა ნებართვას და როგორ შემეძლო არ გამეკეთებინა ის, რაც თქვა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა. ... მუსლიმები ამბობენ, თუ ჩვენ ვიქნებოდით მართლმადიდებლები, მაშინ შეიძლებოდა გახსნა, ხოლო მუსლიმებისათვის არ შეიძლება. ... არცერთ რაიონში მე არ მაქვს მეჩეთი. ეს იწვევს უკმაყო-

ფილებას... ადგილობრივი ხელისუფლება ნებას არ გვრთავს. ასე ამბობს საოლქო კომიტეტის მდივანი, მინისტრთა საბჭო. ამის შესახებ მე მოგწერეთ თქვენ, პირადად ვესაუბრე პოლიანსკის და ანგარიშებშიც ვწერდი, მაგრამ პასუხი არ ჩანს. ... აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმებია. განცხადებებს ვიღებ ყველა დანარჩენისაგან – ბაპტისტებისაგან მივიღე და გავუფორმე, ებრაელებისაგან მივიღე და გავუფორმე. ხელმძღვანელები მე ასე მეუბნებიან, რომ მუსლიმებს არ შეიძლება გავუხსნათ მეჩეთები. ... გარკვეულ პერიოდში ნებას ვრთავდით, მაგრამ ვფიქრობ, მასიურად ნუ გავხსნით, თუმცა უმჯობესია, ვიდრე საერთოდ იყოს არალეგალური. საჭიროა მეჩეთი, თუნდაც ერთი-ორი მეჩეთი რაიონის ცენტრში გაიხსნას. ოქტომბრის რევოლუციამდე იყო 138 მეჩეთი, ახლა მხოლოდ ერთია ბათუმში, რომელიც ჯერ კიდევ არაა დამტკიცებული“ (ГАРФ, ф. Р-6991, оп.3, д.38 , 1946-06-14, л.125-128).

1946 წლის 10 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა მ. ა. ვანილიშმა წერილი (№18с) გაუგზავნა ბათუმის მეჩეთის გახსნის თაობაზე სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარეს – ი. ვ. პოლიანსკის და ამ წერილის ასლი გადაეგზავნა ასევე რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოში – დ. ა. ქურიძეს. წერილში აღნიშნულია:

„ჯერ კიდევ 1946 წლის იანვრიდან, საბჭოს დამტკიცებამდე, ზემდგომი ორგანოების თანხმობით, ქალაქ ბათუმში გაიხსნა ერთი მეჩეთი, რომელიც დღეს ფუნქციონირებს. სხვა მეჩეთები აჭარის ასსრ-ში არ მოქმედებს. მეჩეთის გახსნასთან დაკავშირებული ყველა საბუთი დავასრულე, ინსტრუქციის მიხედვით, მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბოლოს. მასალები კი გადაეგზავნა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, ამხანაგ ქურიძეს. საბჭოსგან დადასტურება ჯერ არ მაქვს. ჩემს ანგარიშებში მე არ ვასახელებ ამ მეჩეთს, როგორც მოქმედს. გთხოვთ მომცეთ მითითება როგორ ვიმოქმედო მომავალში აღნიშნულ მეჩეთთან დაკავშირებით“ (ГАРФ, ф. Р-6991, оп. 3, д. 339,1946-09-10, л. 51; აცსა, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 6, ფურც. 26).

ბათუმის მეჩეთი ორთა ჯამე, საარქივო დოკუმენტებში აღწერილი ვრცელი მიმოწერების შემდეგ, 1946 წლის სექტემბერში დარეგისტრირდა როგორც მოქმედი სამლოცველო ნაგებობა, რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს წერილის (№1408, 28.09.46) საფუძველზე (მისამართი: ჩკალოვის ქუჩა №6), აჭარის რწმუნებულის მიერ. თუმცა, დოკუმენტებში მეჩეთის სახელი „ორთა ჯამე“ არაა მოხსენიებული.

საარქივო დოკუმენტებით, „მეჩეთი აშენებულია XX საუკუნის დასაწყისში, ნაგებობა ქვისაა და აქვს ხის რეზბა შესასვლელ კარზე. მინარეთი არ აქვს. ფართობი 383 კვ. მ. ძეგლთა აღრიცხვის სიაში არ შედის. ნაციონალიზებულია, ხელშეკრულება არ არსებობს. სხვა მოქმედი მეჩეთი არ არის აჭარის ტერიტორიაზე“. მეჩეთს ჰყავდა მოლა – 66 წლის მემედ აბულაძე (ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ხელვაჩაურის მცხოვრები) და მუეძინი – 63 წლის ისმაილ მიქელაძე (ქ. ბათუმის მცხოვრები). არცერთს არ ჰქონდა რელიგიური განათლება. პარასკევობით მეჩეთში დადიოდა 100-მდე ადამიანი, „მუსლიმური დღესასწაულების (ურაზა-ბაირამი და კურბან-ბაირამი) დროს 1 000-მდე ორივე სქესის ადამიანი“ (სუიცა, ფონდი 1880, ანაწ. 1, საქმე17, ფურც. 4-6,12,14).

ჯერ კიდევ 1946 წლის 13 თებერვალს ჩატარდა ქ. ბათუმის მუსლიმ მორწმუნეთა საერთო კრება, რომელზედაც ბათუმის მეჩეთის გამგეობის (მისამართი – ლიბკნეხტის ქ. 25) თავმჯდომარედ აირჩიეს ჭაღალიძე ხასან მემედის ძე, წევრებად – მემედ ახმედის ძე დიასამიძე და ოსმან ყარაღის ძე ვარშალომიძე, რომელსაც ასევე დაევალა მოლარის მოვალეობის შესრულება. მეჩეთის სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: ბაკურიძე ხასან ხუსეინის ძე – სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე (მისამართი – ორთაბათუმის თემი, სოფ. აგარა), დიასამიძე ისკანდერ ხუსეინის ძე და ბოლქვაძე სულეიმან მემედის ძე. ბათუმის მეჩეთის მოანგარიშე-მოლარე იყო მემედ ალი დიასამიძე (ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის მცხოვრები), (აცსა, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 5, ფურც. 1).

1947 წლის 14 იანვარს საბჭოს რწმუნებულმა მ. ვანილიშმა წერილ ით (№10;14.I.47) მიმართა სახელმწიფო ბანკის აჭარის კანტორის მმართველს ქ. ბათუმის მეჩეთის (ორთა ჯამე) მიმდინარე ანგარიშის გახსნის თაობაზე (აცსა, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 12 , 29/I.47-1/IV.47), ფურც. 5).

1946 წლიდან ორთა ჯამე ერთადერთი მოქმედი მეჩეთია ქ. ბათუმში.

დასკვნა. 1944 წელს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან ჩამოყალიბდა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭო. ეს სახელმწიფო ორგანო ზედამხედველობდა ყველა რეგისტრირებულ არამართლმადიდებლურ რელიგიურ ორგანიზაციას, მათ შორის მეჩეთებს. რეგისტრაციის გარეშე ნებისმიერი რელიგიური საქმიანობა იკრძალებოდა. თუმცა საბჭოთა კავშირში მეჩეთების რეგისტრაცია მნიშვნელოვანი ბიუროკრატიული, პოლიტიკური და პრაქტიკული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლება ერთი მხრივ, ცდილობდა მართვადი და ლოიალური რელიგიური სისტემის შექმნას, ხოლო მეორე მხრივ, სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ხდებოდა რეგისტრაციის ეფექტურად შეზღუდვა, მათ შორის მორწმუნეთა საინიციატივო ჯგუფებზე ზეწოლა. ამის საუკეთესო მაგალითია ქ. ბათუმის მეჩეთი „ორთა ჯამე“, რომელიც გაიხსნა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან თითქმის ერთწლიანი წინააღმდეგობის შემდეგ. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის ფაქტიც, რომ 1946 წლიდან 1991 წლამდე ქ. ბათუმის „ორთა ჯამე“ ერთადერთი მოქმედი მეჩეთი იყო აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებმა მეჩეთების რეგისტრაციასთან მიმართებაში გამოიწვია მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა საბჭოთა სახელმწიფოს დეკლარირებულ პოლიტიკასა და რეალურ პრაქტიკას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარამიძე, რ. და რუმიანცევი, ს. (2009). ბათუმის მეჩეთები (წარსული და თანამედროვეობა). ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა, ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Френкель, А. С. (1879/2015). Очерки Чурук-су и Батума. Тифлис: Типография А.А. Михельсона.

სუიცა: საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1547, ანაწ, 1, საქმე 126.

აცსა: აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 3.

ГАРФ: Государственный архив Российской Федерации, ф. Р-6991, оп.3, д.29.

ГАРФ: Государственный архив Российской Федерации, ф. Р-6991, оп.3, д.12.

ГАРФ: Государственный архив Российской Федерации, ф. Р-6991, оп.3, д. 339 (1946-02-8).

ГАРФ: Государственный архив Российской Федерации, ф. Р-6991, оп. 3, д. 339 (1946-04-13).

აცსა: აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 6.

რელიგიური თემები, 2013: რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950-იან წლებში (დოკუმენტების კრებული). თბილისი: უნივერსალი.

ГАРФ: Государственный архив Российской Федерации, ф. Р-6991, оп.3, д. 38.

ГАРФ: Государственный архив Российской Федерации, ф. Р-6991, оп. 3, д. 339 (1946-09-10).

სუიცა: საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, ანაწ. 1, საქმე 17.

აცსა: აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 5.

აცსა: აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-977, ანაწ. 1, საქმე 12.